

შპს მწვანე ქვეყანა

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
ბოლო გვერდი	13

შპს „მწვანე ქვეყანა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	3	351	63
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	371	201
გადახდილი ავანსები		16	13
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	752	681
წინასწარ გადახდილი გადასახადები		26	5
სულ მიმდინარე აქტივები		1,516	963
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	6	1,481	1,355
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,481	1,355
სულ აქტივები		2,997	2,318
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		162	111
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	287	178
სულ მიმდინარე ვალდებულებები		449	289
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	146	126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		146	126
სულ ვალდებულებები		595	415
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,402	1,903
სულ საკუთარი კაპიტალი		2,402	1,903
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,997	2,318

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „მწვანე ქვეყანა“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	შენიშვნები	2018
ამონაგები	7	5,366
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(3,919)
საერთო მოგება		1,447
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(659)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(3)
საპროცენტო ხარჯები		(23)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(7)
მოგება დაბეგვრამდე		755
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		755

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

შპს „მწვანე ქვეყანა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	-	1,903	1,903
პერიოდის ზარალი	-	755	755
გაცემული დივიდენდი	-	(256)	(256)
31 დეკემბერი, 2018	-	2,402	2,402

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „მწვანე ქვეყანა“

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი
ათას ლარებში**

	2018
მოგება დაზღვრამდე	755
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	45
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	3
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(170)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	(3)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(71)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(21)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	48
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	586
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(171)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(171)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	300
სესხის გადახდა	(171)
დივიდენდის გადახდა	(256)
ფულადი ნაკადების გასვლა საფინანსო საქმიანობიდან	(127)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	288
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	63
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	351

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მწვანე ქვეყანა“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 400018850) , რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2011 წლის 04 აპრილიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, სოფელი დილომი, კვირაცხოვლის ქ. N83.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% მამუკა ხუნაშვილი, 15% მურთაზ გველებიანი, 2% მალხაზ საღლიანი, 33% ლულუ ზარნაძე.

2018 წლის 12 აპრილიდან კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავენ კომპანიის დირექტორები - ლულუ ზარნაძე და მამუკა ხუნაშვილი. იქამდე კომპანიის დირექტორი იყო ვახტანგ ტოგონიძე.

შპს „მწვანე ქვეყანის“ საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, 2018 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა	2%
მანქანა დანადგარი	5%
სატრანსპორტო საშუალებები	7%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	7%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში

გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	344	45
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7	18
სულ ფულადი სახსრები	351	63

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება დებიტორული დავალიანებისგან, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მიხედვით, შესაბამისად - 371 ათასი ლარი და 201 ათასი ლარი.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნედლეული	614	599
მზა პროდუქცია	45	21
სხვა მასალები	93	61
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	752	681

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	მიწა და შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	256	884	68	180	1,388
შეძენა	96	-	16	66	178
ჩამოწერა	-	-	-	(7)	(7)
31 დეკემბერი 2018	352	884	84	239	1,559
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2017	22	-	4	7	33
ცვეთა	14	15	4	12	45
31 დეკემბერი 2018	36	15	8	19	78
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	234	884	64	173	1,355
31 დეკემბერი 2018	316	869	76	220	1,481

7. სესხები

სესხები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მიმდინარე სესხი ბანკისგან ლარში	287	178
გრძელვადიანი სესხი ბანკისგან ლარში	146	126
სულ სესხები	433	304

8. ამონაგები

ამონაგები შედგება საქონლის რეალიზაციისგან 5,366 ათასი ლარის ღირებულებით 2018 წელს.

9. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2018
მასალის ღირებულება	3,040
ხელფასის ღირებულება	678
ტრანსპორტირების და შენახვის ღირებულება	181
სხვა მასალის ღირებულება	20
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3,919

10. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2018
ხელფასის ხარჯი	272
ცვეთის ხარჯი	45
მომსახურების ხარჯი	29
სხვა ხარჯი	342
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	659

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მფლობელებს შორის მიმდინარეობას დავა დივიდენდის აღებასთან დაკავშირებით. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა პერიოდის შემდგომ არ ფიქსირდება.

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მენეჯმენტის ხელფასი	2018
ხელფასი და სხვა სარგებელი	150
სულ მენეჯმენტის ხელფასი	150

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

შპს „მწვანე ქვეყანა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	351	63
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	371	201
გადახდილი ავანსები		16	13
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	752	681
წინასწარ გადახდილი გადასახადები		26	5
		1,516	963
სულ მიმდინარე აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,481	1,355
		1,481	1,355
სულ გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		2,997	2,318
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		162	111
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	287	178
		449	289
სულ მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	7	146	126
		146	126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		595	415
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,402	1,903
		2,402	1,903
სულ საკუთარი კაპიტალი			
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,997	2,318

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

გაბრიელ



შპს „მწვანე ქვეყანა“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ათას ლარებში

	შენიშვნები	2018
ამონაგები	7	5,366
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	8	(3,919)
საერთო მოგება		1,447
ადმინისტრაციული ხარჯი	9	(659)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(3)
საპროცენტო ხარჯები		(23)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(7)
მოგება დაზღვრამდე		755
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)		755

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

მ. ხინაძე



შპს „მწვანე ქვეყანა“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარებში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	-	1,903	1,903
პერიოდის ზარალი	-	755	755
გაცემული დივიდენდი	-	(256)	(256)
31 დეკემბერი, 2018	-	2,402	2,402

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

გახნაძე



შპს „მწვანე ქვეყანა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

ათას ლარებში

	2018
მოგება დაბეგვრამდე	755
კორექტირება	
ცვეთა და ამორტიზაცია	45
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	3
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(170)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	(3)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(71)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(21)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	48
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	586
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(171)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(171)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
სესხის აღება	300
სესხის გადახდა	(171)
დივიდენდის გადახდა	(256)
ფულადი ნაკადების გასვლა საფინანსო საქმიანობიდან	(127)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	288
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	-
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	63
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	351

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

